**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისია**

**გადაწყვეტილება**

**დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე**

**ეთიკის კომისიის შემადგენლობა:**

კომისიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი

კომისიის წევრები: ეკატერინე გეწაძე, ეკატერინე მაჭარაშვილი, მარიკა არევაძე, მარინე ცუცქირიძე, ინგა ნებიერიძე, ანა კოტეტიშვილი, ოთარ კაჭკაჭაშვილი, ინგა ბერიძე, ანა ხურციძე, ანა ლორია, ბესიკ ქარცივაძე

**საჩივრის ავტორი:** ტ. კ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 28.02.2019

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 028/19

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ მ. მ.-სთან /სიითი №/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ მ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი:**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 28 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ტ. კ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნაცნობის მ. მ. - ის შუამდგომლობით, მან 2013 წლის 10 ივლისს ადვოკატ მ. მ.-ს გაუფორმა N-- მინდობილობა, უვადოდ, რომლის საფუძველზეც მ. მ.-მა აიღო ვალდებულება დაეცვა საჩივრის ავტორის შვილის - მ. დ.-ის ინტერესები, რომელიც არის მხარდამჭერის მიმღები პირი და სასამართლოს წესით მხარდამჭერად დანიშნული ჰყავს დედა - ტ.

კ.. ადვოკატს სასამართლოში და საგამოძიებო ორგანოში უნდა დაეცვა საჩივრის ავტორის შვილის - მ. დ.-ის ინტერესები ანდერძის საფუძველზე მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორმა დააკონკრეტა, რომ მინდობილობის ერთი პირი გადასცა ადვოკატ მ. მ.-ს გაფორმების დღესვე, ადვოკატის ოფისში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, პირველად ადვოკატს შეხვდა ადვოკატის სახლში, მ. მ.-სთან ერთად. ადვოკატის მიერ საბუთების გაცნობის მეორე დღეს, მან მ. მ.-ს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზნით მინდობილობის გაფორმებისთანავე გადასცა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და საადვოკატო მომსახურების საფასური - 2000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 1000 ლარი იყო საჩივრის ავტორისათვის გასაწევი საადვოკატო მომსახურების საფასური და მისი პირადი თანხა, დარჩენილი ნაწილი კი მოიცავდა საჩივრის ავტორის მეგობრისთვის - ვ. ი.-სთვის გასაწევი საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას 2000 ლარის ადვოკატისათვის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნია, თანხა ხელზე გადასცა, ოფისში. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მ. მ.-ს დამატებითი ხარჯებისთვის გადასცა 150 ლარი, საჯარო რეესტრში. თანხის გადაცემას ესწრებოდა მ. მ.. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მ. მ.-მა მიაწოდა ინფორმაცია, რომ თანხის ნახევარი გადასცა მ. მ.-ს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მინდობილობის გაფორმებისთანავე მ. მ.-მა აიღო სამწლიანი ვადა მინდობილობით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და საჩივრის ავტორს მისცა პირობა, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ სადავო უძრავი ქონება უკვე მათ სახელზე იქნებოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნული სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მივიდა მ. მ. - სთან სახლში, თუმცა იგი თავის მისამართზე არ დახვდა. შემდეგ, ტ. კ.-მა მ. მ. ნახა 2017 წლის მარტში, ადვოკატის ოფისში, სადაც მ. მ.-მა განმარტა, რომ საჩივრის ავტორის საქმის კარგად წარმართვისთვის ყველაფერს გააკეთებდა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესაბამის კოდს ტელეფონის მეშვეობით გაუგზავნიდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას მ. მ. - გან არანაირი შეტყობინება არ მიუღია და ვერც მასთან დაკავშირებას ახერხებდა. აკითხავდა სახლში, ურეკავდა, თუმცა ადვოკატი არ ხვდებოდა. საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მთელი დღის ლოდინის შემდეგ მან და მისმა შვილმა მოახერხეს ადვოკატის ნახვა. მისი შვილი იყო გაღიზიანებული, რადგან ადვოკატი არაფერს აკეთებდა და ესაუბრა ხმამაღალი ტონით. ამ დროს ადვოკატი კიდევ ერთხელ დაპირდა მათ, რომ საქმეს გაუკეთებდათ და დაიბარა შაბათ დღეს. როდესაც ადვოკატთან მივიდნენ, იქ დახვდათ ადვოკატის დედა, რომელმაც უთხრათ, რომ მ. მ. გამოიძახეს მერიაში და არ იყო სახლში. ამის შემდეგ ადვოკატს რამდენჯერმე შეხვდნენ რეესტრში, სადაც მოსაძიებელი იყო საბუთები.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან საქმე მოიკითხა, როგორც სასამართლოში, ასევე პროკურატურაში. ადვოკატს არც ერთი ორგანოსათვის მიუმართავს.

1.7 2023 წლის 30 იანვრის ეთიკის კომისიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ როდესაც ადვოკატს აკითხავდა სახლში, მასთან ერთად ადვოკატს ელოდა არაერთი ადამიანი, რომლებსაც ასევე ჰქონდათ ადვოკატთან დაკავშირების პრობლემა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს გადასცა შემდეგი დოკუმენტები: რეესტრის ამონაწერი; დოკუმენტი სახლის ნუმერაციის ცვლილების შესახებ; ანდერძი; ტექ-ბიუროს მონაცემები. რადგან ადვოკატმა არ დაუბრუნა დოკუმენტების დედნები, მას დასჭირდა ამ დოკუმენტების აღდგენა, დაახლოებით 2 წლის წინ მან ნოტარიუსისაგან აიღო ახალი ანდერძი.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თავად მისცა სავიზიტო ბარათი, შემდეგ, როდესაც საჭირო გახდა მინდობილობის გაკეთება, ადვოკატმა ამ სავიზიტო ბარათზე დაუწერა თავისი პირადი ნომერი და სახლის ტელეფონის ნომერი. ბარათზე მითითებულია ადვოკატის ოფისის მისამართი .

1.10 ადვოკატის სახლში ვიზიტთან დაკავშირებით საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატი უნდა ენახათ ოფისში, თუმცა რომ მივიდნენ, ადვოკატი არ დახვდათ. დაურეკეს და განუმარტათ, რომ იყო ავად, ჰქონდა სიცხე და სთხოვა სახლში მისვლა, რათა საქმის შესახებ მიეღოთ ინფორმაცია. ადვოკატმა უთხრა, რომ საქმე ჰქონდა ჩაბარებული და ყველაფერი კარგად იყო. ეს ყველაფერი მოხდა საქმის ადვოკატისათვის ჩაბარებიდან 3 წლის შემდეგ. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მისი საქმე დიდხანს იმიტომ გაგრძელდა, რომ ადვოკატი 2 წლის განმავლობაში იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

1.11 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატი მას შეუთანხმდა წარმატების ჰონორარზეც, რომელიც უნდა ყოფილიყო სახლის ღირებულების 4 % და არა 8 %, რადგან იყო მ. მ.-ის ნაცნობი. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატი მასთან სახლშიც იყო მისული, რასაც ესწრებოდნენ მისი შვილებიც. ამ შეხვედრისას ადვოკატმა უთხრა, რომ უნდა დაეცადა 2 წელი და 6 თვე და სახლის გასაღებს ჩააბარებდა.

1.12 2023 წლის 16 თებერვლის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ის ადვოკატთან მისული იყო მის ახალ ოფისშიც, ძველ ოფისთან იქვე კუთხეში. საჩივრის ავტორმა აღწერა ახალი ოფისის ინტერიერი და განმარტა, რომ ამ ოფისში დადიოდა 2017 წელსაც.

1.13 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მისთვის ადვოკატ მ. მ.-ს ერთხელაც კი არ მოუხდია ბოდიში. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას სურს, დაუბრუნდეს ადვოკატისთვის გადაცემული საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დედნები და მომსახურების საფასური, ასევე ადვოკატს დაეკისროს შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა.

**2. ადვოკატ მ. მ.-ს პოზიცია:**

2.1 ადვოკატ მ. მ.-ს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია წერილობითი განმარტება, თუმცა მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის 2023 წლის 30 იანვრისა და 16 თებერვლის სხდომებზე, სადაც განმარტა, რომ ტ. კ. 2013 წლის დასაწყისში მასთან მიიყვანა მ. მ.-მა (ოჯახის მეგობარმა).

ადვოკატს სურდა მოწმის სახით მ. მ.-ის გამოკითხვა, თუმცა ის უკვე გარდაცვლილია. ადვოკატმა განმარტა, რომ ტ. კ. მისი კლიენტი არასდროს ყოფილა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მისმა ახლობელმა - ადვოკატმა მ. მ.-მა სთხოვა გადაეხედა მომჩივანის საქმისთვის, რასაც მოპასუხე ადვოკატი დათანხმდა. როდესაც ის გაეცნო საქმის მასალებს, საქმე შეეხებოდა სავარაუდო თაღლითობას, საქმეზე იყო სამუშაო და მან მ. მ.-ის განუცხადა, რომ უნდა შეეტანათ საჩივარი პროკურატურაში. მოპასუხე ადვოკატმა განუცხადა მ. მ.-ის, რომ ამ საქმის აღების შემთხვევაში, მისი მომსახურების ჰონორარი იქნებოდა 1000-1500 ლარი. მ. მ.-მა უთხრა ადვოკატს, რომ ტ. კ. ამ თანხას ვერ გადაიხდიდა, რადგან იყო სოციალურად დაუცველი. ამასთან, მ. მ.-მა ადვოკატს სთხოვა, რომ თავად დაწერდა საჩივარს და მას მხოლოდ გადაეხედა - დახმარებოდა. ადვოკატმა მ. მ.-ს განუმარტა, რომ თუ დაიწყებოდა გამოძიება, მისი ხათრით, ტ. კ. -ს ამ პროცესში დაეხმარებოდა. ადვოკატი განმარტავს, რომ მომჩივანის დოკუმენტაცია ჰქონდა მ. მ.-ის, რომელმაც მას გადასახედად გადასცა მხოლოდ ერთი დღით. მ. მ.-მა მიუტანა დაწერილი განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც მ. მ.-მა ზეპირი ფორმით უთხრა თავისი აზრი, და მ. მ.-მა განცხადებაც და დოკუმენტაციაც მეორე დღესვე წაიღო. ადვოკატმა არ იცის ამ განცხადებას რა ბედი ეწია. ადვოკატი განმარტავს, რომ როგორც ახსოვს, მ. მ.-ისგან მიღებულ დოკუმენტებში იყო ანდერძის ძველი ასლი და ტ. კ.-ის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ასევე უფლების დამდგენი დოკუმენტები საცხოვრებელი სახლის შესახებ.

2.3 ადვოკატმა განმარტა, რომ მას დაურეკა ტ. კ.-მა და ჰკითხა მის საქმესთან დაკავშირებით რა ხდებოდა და რომ ადვოკატს განცხადება უნდა შეეტანა პროკურატურაში. ადვოკატი განმარტავს, რომ ეს გაუკვირდა, რადგან ეს საქმე მას არ ჰქონია და ინფორმაციის მისაღებად დაურეკა მ. მ.-ის, რომელმაც უთხრა, რომ განცხადება ჰქონდა შეტანილი. რამდენიმე დღის შემდეგ მას ისევ დაურეკა ტ. კ.-მა და მან გადასცა მ. მ.-ისაგან მიღებული ინფორმაცია, აქვე უთხრა, რომ ამ საქმეს თავად არ აწარმოებდა და მ. მ.-ს ეხმარებოდა მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ 2014 წელს ტ. კ. მასთან იყო მისული შვილთან ერთად, ეკითხებოდნენ, რა ხდებოდა საქმეზე, რა დროსაც ტ. კ.-ის შვილმა მას მოსთხოვა ფული და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც ტ. კ.-მა მას მოუხადა ბოდიში. ადვოკატმა დაურეკა მ. მ. - ის და მოიკითხა, რის ფულს ითხოვდა ტ. კ. , მ. მ. - მა განუმარტა, რომ ტ. კ. უსხამდა საწვავს გზისთვის, ამ თანხას ითვლიდა და ახლა ედავებოდა. 2014 წლის შემდეგ, ტ. კ.-ს მასთან არ დაურეკია და მას ტ. კ. აღარ უნახავს.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ დაახლოებით 2014 ან 2015 წელს მ. მ. ინახულა საავადმყოფოში, რადგან ამ საქმეზე დეტალური ინფორმაციის მიღება უნდოდა, თუმცა მ. მ. დახვდა ფიზიკურად ცუდ მდგომარეობაში და მასთან საუბარი ვერ შეძლო. ამის შემდეგ, მას უნდოდა მ. მ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაგება, თუმცა მისთვის ცნობილი მ. მ.-ის საკონტაქტო ნომერი იყო გამორთული და ვერც სხვა გზებით შეძლო მასთან დაკავშირება.

2.6 საქმეში წარმოდგენილ მინდობილობასთან დაკავშირებით ადვოკატი განმარტავს, რომ მ. მ.-მა იცოდა მისი პირადი ნომერი და შესაძლოა, მინდობილობა მას გაუფორმეს მ. მ.-ის თხოვნით. მან ეს

მინდობილობა პირველად ნახა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალების გაცნობის დროს. მის სახელზე მინდობილობა გაცემული იყო განუსაზღვრელი ვადით. ადვოკატი განმარტავს, რომ მინდობილობის მიღების შემდეგ, ამ დოკუმენტის გაუქმება არ მოუთხოვია, რადგან ამას აზრი აღარ ჰქონდა - მხარესთან იყო დავაში. ადვოკატს არ გადაუმოწმებია მინდობილობა ამჟამად გაუქმებულია თუ არა, თუმცა ამას მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რადგან იცის, რომ ამ მინდობილობას არასოდეს გამოიყენებს.

2.7 ადვოკატმა განმარტა, რომ იმ პერიოდში ყველა სავიზიტო ბარათზე აწერდა თავის პირად მონაცემს - პირად ნომერს და სახლის ტელეფონის ნომერს, რადგან სავიზიტო ბარათის დაბეჭდვისას მისი ეს მონაცემი გამორჩათ. ადვოკატი განმარტავს, რომ თავის სავიზიტო ბარათს აძლევს ყველა პოტენციურ კლიენტს. ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ ეს სავიზიტო ბარათი მ. მ.-მა მისცა ტ. კ.-ს, ადვოკატს ეს სავიზიტო ბარათები ედო მაგიდაზე. ადვოკატმა დაზუსტებით არ იცის როგორ მოხვდა მისი სავიზიტო ბარათი ტ. კ.-ის ხელში. ადვოკატი განმარტავს, რომ მის ახლანდელ სავიზიტო ბარათზე მისი პირადი ნომერი დატანილია, თუმცა კომისიისათვის სავიზიტო ბარათი არ წარმოუდგენია.

2.8 ადვოკატმა განმარტა, რომ ტ. კ. მის ოფისში ნამყოფია რამდენჯერმე, დაახლოებით 2-3-ჯერ. ერთხელ ტ. კ. მ. მ.-სთან ერთად, მის სახლში იყო სანახავად მისული, ადვოკატი იყო ავად და მიუტანეს შოკოლადი. ამ დღეს საქმეზე არ უსაუბრიათ. ადვოკატმა დააზუსტა, რომ ამ ვიზიტისას მ. მ. - მა ჰკითხა, თუ აიღებდა ერთ კონკრეტულ საქმეს წარმოებაში. ადვოკატმა ამავე დროს განმარტა, რომ ამ დროს ტ. კ. - ის საქმე წაკითხულიც არ ჰქონდა, გარდა იმისა, რაზეც შეხვედრის პირველ დღეს ისაუბრეს. ამ დღეს არც ტ. კ.-ს უკითხავს და არც ადვოკატს დაუზუსტებია, ისარგებლებდა თუ არა მისი სამართლებრივი მომსახურებით. ადვოკატს არ აქვს ინფორმაცია, რატომ არ ისარგებლა ტ. კ.-მა მისი სამართლებრივი მომსახურებით.

2.9 2023 წლის 16 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ პირადად ტ. კ.-ისაგან არ მიუღია მასალები, პირადად მისთვის არ გაუწევია კონსულტაცია, არ აუღია თანხა და არ გამოუწერია ორდერი. ადვოკატი განმარტავს, რომ მასსა და ტ. კ.-ს შორის კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობს: არც სატელეფონო ზარების ამონაწერი, არც მიმოწერა სმს-ებით.

2.10 ადვოკატი აპელირებს, რომ საქმე ხანდაზმულია, რწმუნებულება გაფორმებულია 2013 წელს, ივლისში და საჩივრის მომართვის პერიოდში ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო. ადვოკატმა განმარტა, რომ საჩივრის ავტორი მასთან პრეტენზიით ბოლოს მისული იყო 2013 წლის სექტემბერში. ადვოკატი განმარტავს, რომ ეს დაზუსტებით ახსოვს, რადგან ოფისი, სადაც ტ. კ. მასთან მივიდა, ნაქირავები ჰქონდა 2013 წლის ნოემბრამდე. ადვოკატმა განმარტა, რომ მისი ახალი ოფისი იყო ძველ ოფისთან ახლოს. ადვოკატი განმარტებით, 2017 წლის მარტში, ტ. კ. მასთან არ ყოფილა.

3. **საქმის პროცესუალური ისტორია:**

3.1 2019 წლის 22 აპრილს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. მ.-სთან მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. მ.-ს საჩივრის ავტორის საქმეზე საადვოკატო მოქმედებები არ განუხორციელებია, არ აწვდიდა ინფორმაციას, ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ არ დაუბრუნა საქმის მასალები და გამოუმუშავებელი, წინასწარ მიღებული ჰონორარი, შესაბამისად ადვოკატმა დაარღვია შემდეგი ნორმები: ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა, 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5, 8.6 და 8.15.

3.2 ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინური კოლეგიის 2019 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების (შემდეგში - „დებულების“) 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ეთიკის კომისიის სხდომაზე შესაძლებელია დადასტურდეს ადვოკატის მხრიდან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რის გამოც ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განესაზღვროს გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

3.3 ეთიკის კომისიის 2021 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ადვოკატ მ. მ.-მა დაარღვია კეთილისინდისიერი წარმომადგენლობის; კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და გამოუმუშავებელი საადვოკატი ჰონორარისა და საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა, 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5, 8.6 და 8.15) და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 2 (ორი) წლის ვადით. ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

3.4 2022 წლის 26 სექტემბრის N გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადვოკატ მ. მ.-სთან საჩივარი და საქმე განსახილველად დაუბრუნა ეთიკის კომისიას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადისციპლინო პალატის მოტივაციას წარმოადგენდა გარემოება, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, განმარტებებს და ადვოკატ მ. მ.-ს საჩივრის ავტორის პოზიციის გამაბათილებელი წერილობითი თუ ზეპირი მითითება ან მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა არ მიეცა, რადგან ადვოკატს სათანადო წესით არ ეცნობა დისციპლინური წარმოების შესახებ ინფორმაცია. პალატამ არ გაიზიარა ეთიკის კომისიის მიერ საქმეზე უდავოდ მიჩნეული გარემოებები, რადგან ადვოკატს არ მიეცა შესაძლებლობა

მონაწილეობა მიეღო მის მიმართ არსებულ დისციპლინურ წარმოებაში, შესაბამისად, უდავოდ მიჩნეული გარემოებები არ არის დადგენილი საქმის მასალების სრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე. ასევე, პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატ მ. მ.-სთან მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ, არ არის საკმარისად დასაბუთებული და ამ საფუძვლითაც, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა ეთიკის კომისიას.

**II სამოტივაციო ნაწილი**

**4. საქმის ფაქტები:**

**4.1 უდავო ფაქტები:**

4.1.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 08 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე N მ. დ.-ის დედას, ტ. კ.-ს მიენიჭა მ. დ.-ის მხარდამჭერის უფლებამოსილება.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

გადაწყვეტილება საქმეზე N

4.1.2 2013 წლის 10 ივლისს მ. დ.-ის მხარდამჭერმა, დედამ, ტ. კ.-მა ადვოკატს მ. მ.-ს მისცა უვადო რწმუნებულება;

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

2013 წლის 10 ივლისის რწმუნებულება N

4.1.3 ტ. კ.-მა საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა მის ნაცნობს - მ. მ.-ის, რომელმაც, თავის მხრივ, პირველადი კონსულტაცია გაიარა ადვოკატ მ. მ.-სთან.
*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

ეთიკის კომისიის 2023 წლის 30 იანვრისა და 16 თებერვლის სხდომის ოქმები;

**4.2 სადავო ფაქტები:**

მხარეთა შორის სადავოა, მ. მ.-სა და ტ. კ.-ს შორის, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის, ადვოკატისათვის საქმის მასალებისა და საადვოკატო მომსახურების ჰონორარის გადაცემის ფაქტი.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებასთან, საქმის მასალების, ჰონორარისა და საქმისათვის გათვალისწინებული ხარჯების გადაცემასთან დაკავშირებით, მხარეებს აქვთ განსხვავებული პოზიციები:

ტ. კ.-ის პოზიციით, მან ადვოკატს მისცა დავალება ეწარმოებინა მისი შვილის საქმე ანდერძის საფუძველზე მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით, სასამართლოში საქმის წარმოების გზით; ასევე, ადვოკატს უნდა მიემართა პროკურატურისათვის, შესაძლო თაღლითობის საქმის

გამოძიების მოთხოვნით; საჩივრის ავტორმა ადვოკატს პირადად გადასცა მომსახურების ჰონორარი 2000 ლარის ოდენობით, საიდანაც 1000 ლარი იყო განკუთვნილი მისი საქმისათვის, ხოლო 1000 ლარი წარმოადგენდა მისი მეგობრის - ვ. ი. - სთვის გასაწევი მომსახურების საზღაურს და ეს თანხა მან მიიღო ვ. ი.-სგან. მომჩივანმა ადვოკატს დამატებით გადასცა 50 ლარი - ხარჯებისათვის. საჩივრის ავტორმა ადვოკატს მინდობილობის გაფორმებისთანავე გადასცა საქმესთან დაკავშირებული მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის ანდერძი და ანდერძის ნამდვილობის დამადასტურებელი ნოტარიული წესით დამოწმებული აქტი.

საჩივრის ავტორის პოზიციის საპასუხოდ, ადვოკატი განმარტავს, რომ მას აღნიშნული საქმე წარმოებაში არ აუღია, რადგან მხარისათვის არ იყო მისაღები მის მიერ განსაზღვრული საქმის წარმოების ჰონორარი. მას მ. მ.-მა დაუტოვა ტ. კ.-ის შვილის საქმის მასალები 1 დღით, თავისივე დაწერილ განცხადებასთან ერთად. ადვოკატი გაეცნო მასალებს და მ. მ.-ის მიერ მომზადებულ განცხადებას და მ. მ.-ის ამ განცხადებასთან დაკავშირებით უთხრა თავისი პროფესიული აზრი, თუმცა ამ კონკრეტულ განცხადებას მოჰყვა თუ არა სამართლებრივი რეაგირება, მისთვის უცნობია. ადვოკატი განმარტავს, რომ მას არ აუღია ვალდებულება ეწარმოებინა ტ. კ.-ის შვილის, მ. დ.-ის საქმე და შესაბამისად, ტ. კ.-ისაგან არ მიუღია არც საადვოკატო მომსახურების ჰონორარი და ხარჯისთვის განკუთვნილი თანხა და არც - საქმის მასალები.

დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე (დებულება, მუხლი 16).

მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები (დებულება, მუხლი 17.1). საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

ვინაიდან მხარეთა პოზიციები განსხვავებულია, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ფაქტის მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხზე:

ეთიკის კომისია იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას, რომლის მიხედვით „მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.06.2011 წლის განჩინება, საქმე №). ამასთან, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102.1).

2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით საქმეზე N--, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე. როგორც წესი, ფაქტის მითითებისა და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი"; ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს და საქმეზე გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში". შესაბამისად, მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისა და შესაბამისად, ადვოკატისათვის საქმის მასალების, ასევე ჰონორარისა და ხარჯებისათვის განკუთვნილი თანხის გადაცემის თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია მომჩივანს. საჩივრის ავტორი ადვოკატ მ. მ. - სთან შეთანხმებას ადასტურებს მის სახელზე გაცემული მინდობილობით (2013 წლის 10 ივლისის რწმუნებულება №). საჩივრის ავტორს ფაქტის დასადასტურებლად სხვა სახის მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

ვინაიდან, „მხოლოდ მინდობილობის გაცემა არ ჩაითვლება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების და ვალდებულებების წარმოშობის საკმარის საფუძვლად, რადგან ცალმხრივი ნების გამოვლენა არ შეიძლება ჩაითვალოს მხარეთა შორის შეთანხმებად იურიდიული მომსახურების გაწევაზე… ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისთვის აუცილებელია ამის თაობაზე ორივე მხარემ გამოხატოს თანხმობა. კერძოდ, ადვოკატს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კონსულტაციის მიღების მსურველი პირისგან, რომ სურს მიიღოს მისი საადვოკატო მომსახურება და თავის მხრივ, ადვოკატმა უნდა გამოხატოს ნება და მკაფიო თანხმობა, რომ ის იღებს პროფესიულ პასუხისმგებლობას გაუწიოს საადვოკატო მომსახურება პირს, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 22.03.2019 წლის რეკომენდაცია №). შესაბამისად, მხოლოდ მინდობილობის გაცემით, ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების ფაქტი და შეთანხმების ფარგლები ვერ დადასტურდება.

ეთიკის კომისიის შეფასებით, რადგან მინდობილობა არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომლისთვისაც „თეორიულად" საკმარისია რწმუნებულის მონაცემების მითითება და მხოლოდ მარწმუნებლის ნების გამოხატვა, აღნიშნული კომისიას უქმნის ვარაუდს, რომ შესაძლოა მოპასუხე ადვოკატი არ იყო ინფორმირებული და თანახმა მინდობილობის გაფორმებასა და მ. დ.-ისათვის წარმომადგენლობის განხორციელებაზე; მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მ. დ.-ის სასარგებლოდ საადვოკატო მომსახურების განხორციელებას უარყოფს თავად მოპასუხე ადვოკატი. წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კოლეგია ვერ ადგენს, რომ ტ. კ.-სა და ადვოკატს მ. მ.-ს შორის არსებობდა შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევაზე.

კომისიის შეფასებით, ჰონორარის, მოსალოდნელი ხარჯებისა და საქმის მასალების ადვოკატისათვის გადაცემის ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია მომჩივანს, რომელმაც

საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულება უნდა წარუდგინოს ეთიკის კომისიას აღნიშნულის თაობაზე. დისციპლინური წარმოების ვერც ერთ ეტაპზე, მომჩივანმა, გარდა ზეპირი ახსნა განმარტებისა, რომელსაც უარყოფს მოპასუხე ადვოკატი, ვერ წარმოუდგინა ეთიკის კომისიას სარწმუნო მტკიცებულება, რომ მას ნამდვილად გადასცა მოპასუხე ადვოკატს ჰონორარი, მოსალოდნელი ხარჯი და საქმის მასალები. შესაბამისად, კომისია, ვერ ადგენს ადვოკატისათვის საქმის მასალების, ჰონორარისა და მოსალოდნელი ხარჯების გადაცემის ფაქტს.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

2013 წლის 10 ივლისის რწმუნებულება №

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

ეთიკის კომისიის 2023 წლის 30 იანვრისა და 16 თებერვლის სხდომის ოქმები;

**5. შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ მ. მ.-სთან ქმედებაში ვერ დასტურდება დისციპლინური გადაცდომა, რის გამოც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე.

**6. სამართლებრივი შეფასება:**

6.1 ეთიკის კომისიის შეფასებით, ვერ დასტურდება ადვოკატ მ. მ.-სთან მხრიდან კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების, კლიენტის ინფორმირების, გამოუმუშავებელი ჰონორარის, მინდობილი თანხებისა და საქმის მასალების დაუბრუნებლობის ეთიკური ვალდებულების დარღვევა.

6.1.1 ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები. ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

6.1.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

6.1.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

6.1.4 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან

მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.2 „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად. ადვოკატი შებოჭილია კეთილსინდისიერების პრინციპით, რაც იცავს კლიენტს ადვოკატის მიერ მისი უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან. კლიენტს ხშირ შემთხვევაში არ აქვს უნარი დამოუკიდებლად გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები, ხოლო ადვოკატმა სამართლებრივი განათლებით, უნარ-ჩვევებით უნდა უზრუნველყოს კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N N014/21).

6.3 „ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ას-589-2019, 28, შეადარეთ, ასევე, ამავე სასამართლოს შემდეგი საქმეები: ას-899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით, აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის N089/17 გადაწყვეტილება, პარ. 6.3.8).

6.4 „ადვოკატის ვალდებულებაა განახორციელოს შესაბამისი და კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება. კლიენტის მიერ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა, თავისთავად არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად. ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N062/15).

6.5 კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადო წესით მიწოდებასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიას აქვს დადგენილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.01.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე №); „კლიენტის ინფორმირების ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, რომ ის ფლობდეს ინფორმაციას თავისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 23.09.2010 წლის გადაწყვეტილება, საქმე №066/10).

6.6 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ტ. კ. - მა, რომელიც წარმოადგენს შვილის - მ. დ. - ის მხარდამჭერს, ნაცნობის, მ. მ. - ის რეკომენდაციით, თავისი შვილის საქმეზე მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით, კონსულტაცია გაიარა ადვოკატ მ. მ. - სთან, რომელიც მუშაობდა ადვოკატ მ. მ. - სთან ერთად. ეთიკის კომისიამ, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მ. მ. - სა და ტატიანა კუდინოვას შვილს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ვერ დაადგინა - მომჩივანმა მხარემ ვერ წარმოადგინა სარწმუნო მტკიცებულება, რომ ადვოკატმა მ. მ. - მა გაუწია მის შვილს - მ. დ. - ის საადვოკატო მომსახურება ან შეუთანხმდა მას წარმომადგენლობაზე (პარ. 4.2). ასევე, ვერ დადასტურდა საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის საქმის მასალების, საადვოკატო მომსახურების თანხისა და მოსალოდნელი ხარჯების გადაცემის ფაქტიც.

6.7 ეთიკის კომისიამ საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლით, მათი სამართლებრივი ანალიზით, მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებით დაადგინა, რომ ადვოკატ მ. მ. - სთან მიერ ვერ დადასტურდა კეთილსინდისიერების, კლიენტის ინფორმირების, გამოუმუშავებელი ჰონორარის, მინდობილი თანხებისა და საქმის მასალებით კლიენტისათვის დაბრუნების ფიდუციური ვალდებულებების (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 5(ა), 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 8.5, 8.6 და 8.15) დარღვევა.

6.8 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა დებულების მე-16, მე-17, 33-ე, 39-ე მუხლებით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №028/19 არ დადგინდეს ადვოკატ მ. მ.-სთან /სიითი №/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატს არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე: | /კონსტანტინე გელაშვილი/ |
| კომისიის წევრი: | /ეკატერინე გეწაძე/ |
| კომისიის წევრი: | /ეკატერინე მაჭარაშვილი/ |
| კომისიის წევრი: | /მარიკა არევაძე/ |
| კომისიის წევრი: | /მარინე ცუცქირიძე/ |
| კომისიის წევრი: | /ინგა ნებიერიძე/ |
| კომისიის წევრი: | /ანა კოტეტიშვილი/ |
| კომისიის წევრი: | /ოთარ კაჭკაჭაშვილი/ |
| კომისიის წევრი: | /ინგა ბერიძე/ |
| კომისიის წევრი: | /ანა ხურციძე/ |

კომისიის წევრი: /ანა ლორია/

კომისიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/